# სახალხო ფურცელი

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის № 799

დამატების № 143

კვირა, 19 თებერვალი 1917 წ.




პირველი ადამიანების მწუხარება.

## შეხვდნენ გაიყარნენ

**მოთხრობა ვ. რეიმონტისა.**

(დასასრული *)

ერთი ხანობა ისინი ჩუმად მიდიოდნენ ვიწრო, ლიპ ბილიკზე, მინდორ-მინდორ რომ მიდიოდა და პირდაპირ კურონსკის სახლისაკენ მიჰყავდა. ჩამობინდდა.

— მაშ შენ არა მკიცხავ?—ჰკითხა უცებ ანტონმა ვლადისლავს.

— რაზე უნდა გაგკიცხო? იმაზე, რომ უბედური ხარ? მე მხოლოდ მებრალები, მებრალები ისე, როგორც შემებრალებოდა ყოველი კეთილი სული, ამაოდ რომ ინთქება, ისპობა; რო,ორც დამენანებოდა ყოველი სურვილი, ყოველი ოცნება, რომელსაც შესრულება ვერ ღირსებია.

— გმადლობ, მეგობარო, გმადლობ! შენ მაინც ერთი გამოჩნდი შემბრალე! ის შენ გიცნობდა და დიდს პატივსა გცემდა.

— საწყალი, უბედური იყო, არას დროს არ გამიკიცხავს, რადგანაც კარგად მესმოდა იმისი გულის ნადები.

— ამ იარ წელიწადში ხშირად შეხვდებოდი ხოლმე?

— მე და ჩემი და ყოველ კვირა ვიყავით ხოლმე იმათსა. ამაზე იმას კრინტი არასდროს დაუძრავს, მაგრამ ვიცოდი რაცა ხდებოდა იმის გულში და ვუამბობდი ხოლმე ყოველს შენს წერილზე, ვუამბობდი ხოლმე ვრცლად შენი ცხოვრების ამბავს. კარგად ვიცოდი, რომ ის ამ წვრილმანებით იყო მხოლოდ ცოცხალი. თიბათვეში, ჩემი სახელწოდების დღეს ისინი ორივენი იყვნენ ჩვენსა, ხალხი ბევრი გვყავდა, მაგრამ მე იმას ვადევნებდი თვალს და ისეთი აბნეული იყო, ისეთი, მოწყენილი, ნაღვლიანი, რომ მე გული დამეტანჯა საშინლად. დიდხანს ვუამბობდი იმას შენს ამბავს. ის გაფაციცებული მიგდებდა ყურს, მერე კი ისე ჩუმად მკითხა, რომ ძლივს გავიგონე:

— რა, ის ძლიერ იტანჯება? არ მოვა?

პასუხის მაგიერ შენი უკანასკნელი წერილი მივეცი. ჩაჩქმალა ხელად და მალე შინ წავიდა. რამდენიმე კვირის შემდეგ კაცი გამომიგზავნა, მიბარებდა. რომ მივედი, ზარი დამეცა, ისეთი ყვითელი იყო და ციებ-ცხელებიანივით თვალები უკრიალებდა. მარტოკა ვიყავით და მაინც კარგა ხანია არც ერთი ხმას არ ვიღებდით.

— უთხარი, იმას, დაიწყო მან ბოლოს,—რომ მე ვილევი, ვიტანჯები, რომ ვკვდები სევდით, მაგრამ სხვაფრივ არ შეიძლება და არც იქმნება! და ქვითინი მორთო მწარედ. ჩვენ კიდევ დიდხანსა ვლაპარაკობდით. მაშინ ჩავიხედე ძირამდე იმ სულში, მაშინ ვცან ის უმანკო, მშვენიერი, მშვენიერზე მშვენიერი, ვისაც კი მე ვიცნობდი. იმისი სიკვდილი არ გამკვირვებია. ისეთი ბოლო უნდა ჰქონოდა. უმჯობესიც არის იმისათვის: აღარა გრძნობს მაინც.

ჩუმად მივიდნენ სახლთან, უსიტყვოდ. ვლადისლავს შინ შესვლაც არ უნდოდა, მაგრამ კურონსკიმ აღარ გაუშვა და ვახშმად დაიჭირა. იმ სამის მეტი აღარავინ იყო შინ. საშინელი მოეჩვენა ან-

*) იხ. სურათებიანი დამატება № 142.



კავკასიის ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარე სერგ. ჯაფარიძე.

ტონს ის სახელი. რაღაცა სიცალიერე იყო, მოუწყობლობა, მჭიდროობა, სიცივე ძლიერი. სამივეს გონებაზე ერთი და იგივე ფიქრი ეკერა:—მოკვდა! მაშ მოკვდა!—და ეს უბავდა სამივეს ენას და ძარღვებში სისხლს უთოშავდა. მათ თითქოს სციოდათ, თითქოს ბნელა იყო, თუმცა სანათი ენთო და ბუხარში ცეცხლს გიზგიზი გაუდიოდა. რაღაცა სამგლოვიარო მდუმარება, უსიცოცხლობა ჩამოწოლილიყო ოთახში და ისინი გაეთანგა, გაექვავებინა. მსახურთ ფეხ-აკრებით შემოჰქონდათ ვახშამი, თითქოს ეშინოდათ გაეფრთხოთ მოჩვენება, სადღაც ფანჯარასთან რომ იდგა და შემოიჭყიტებოდა. ყველა მოუსვენრად იყო, უცნაური, მძიმე, ძარღვების გამღიზიანებელი, მტეხი აფუთურება, მოუსვენრობა იყო—და ყოველი ხმა, ყოველი ფაჩუნი მეხივით ეცემოდა მოქანცულს გონებას, აღიზიანებდა აუწერელი შიშით. ქარი უფრო ძლიერა ჰქროდა, ლაწი-ლუწით ამტვრევდა ბაღში ხეებს ტოტებს და ფანჯრის დარაბებს ეწეოდა, თითქოს ჰსურდა ძალაზე გაეღო. გულს უღრღნიდა, ანაღვლიანებდა, სტანჯავდა ყველაფერი, სტანჯავდა ოთახის მთელი მოწყობილობა, სტანჯავდა აუარიბელი წვრილმანი რამ, რომელიც თვალში ეჩხირებოდათ ყოველს წუთს და მიცვალებულს აგონებდა.

ჩუმადა ვახშმობდნენ, ეშინოდათ დანით არ დაეჩხაკუნებინათ, სიმშვიდე არ დაერღვიათ, თუმცა ის სიმშვიდე, დუმილი ყველაზე ძლიერა ჰქენჯნიდა, სტანჯავდა მათ.

— როდის მიდიხარ? ჰკითხა ვლადისლავმა.

— ხვალ.

— წასვლის წინ ჩემთან შემოივლი?

— შემოვივლი, შემოვივლი უეჭველად. თქვენები უნდა ვნახო და გამოვეთხოვო. იქმნება ველარც კი განხოთ როდისმე.

კურონსკი წამოხტა. სახეზე წრფელმა ნაღველმა გადაურბინა.

— რა, ხვალ გინდა წახვიდე? არა, მე თანახმა არა ვარ. შენ უნდა დარჩე ჩემთან რამდენიმე კვირა მაინც. ნაცნობებსაცა ჰნახავ. ხომ იცი ჩემთვის ეხლა რა ძნელია მარტოობა. არა, შენ დარჩები, შენ ამაზე უარს არ ეტყვი შენს მეგობარს. გაფიცებ ელენეს სახელს, გაფიცებ იმ წარსულ, შორეულს, ტკბილ ჟამს, ერთად რომ ვატარებდით ხოლმე ყველანი, თუ მეგობარი ხარ დარჩი!

ანტონს არაფერი უპასუხნია. თავი ჩაჰღუნა, რომ არ შეემჩნიათ იმისი გაწითლებული, დაპრანჭვული სახე, და შემდეგ ნელა წარმოსთქვა:

— არა, ხვალ საჭიროა, უეჭველად უნდა წავიდე, უეჭველად; ხვალ კი არა ამაღამაც, ეხლავე, ეხლავე დაუყოვნებლივ!

— როგორ თუ—საჭიროა? ორი წლის წინ მაგასვე იძახდი—უნდა წავიდეო და წახვედი. მაშინ არ მიკითხნია რად მიდიოდი, თუმცა ცოტა არ იყვეს ამის ნება მქონდა, მაგრამ ჩემი ცოლი, ქალურ ზრდილობისა გამო მირჩევდა არაფერი მეკითხნა. მაგრამ ეხლა ნებას არ მოგცემ, რომ მე, მეგობარს, არაფერი მითხრა და ისე წახვიდე.

— აუცილებლივ, აუცილებლივ უნდა წავიდე. წავალ, მაგრამ მიზეზს, თუ ღმერთი გრწამს, ნუ მკითხავ, ნუ! ჩურჩულებდა ანტონი; აწითლებულიყო, აჭრელებულიყო, შემკრთალიყო, ძლივს იკავებდა თავს.

— თქვენ მოილაპარაკეთ მაგაზე, მე კი უნდა წავიდე,—სთქვა ვლადისლავმა, ადგა და გამოეთხოვა.

ანტონმა ის ეტლამდე მიაცილა მზად იყო ამ სახლიდან გაექუსლა, გაქცეულიყო, ასეთი გაქცევა რომ ყოფილიყო შესაძლებელი. ერთმანეთს რომ ეთხოვებოდნენ და ხელი-ხელს ართმევდნენ, ვლადისლავმა ყურში წასჩურჩულა ანტონს მუდარით:

— დაინახსოვრე, კრინტი, კრინტი არ დასძრა, გესმის, რაც უნდა მოხდეს! ვლადისლავი წავიდა.

ანტონი და კურონსკი მარტო დარჩნენ. სახლში სამარისებური მყუდროება გამეფებულიყო, მხოლოდ მათში ჰქოთქოთობდა ზღვა ტანჯვისა.

-- ჰგრძნობ სიცარიელეს, ამ სახლში რომ შემოიჭრა? გახსოვს, როგორ სულ სხვანაირად იყო აქ, სულ სხვაგვარად? ასეთი უბედურება დაგატყდეს თავს და გონებაზე არ შეიშალო? ოთხი წლიწადი ბედნიერება, ოთხი წელიწადი სიყვარული, ჟამი უზადო, უმზაკველი, ჟამი, რომელშიაც არ ერია ერთი დღე, დანარჩენ დღეებს რომ არა ჰგვანებოდა სიხარულით და სიყვარულითა! და ეხლა კი მარტოობა, მარტოობა! ვინ ან რა მსჯის ასე სასტიკად? რა დავაშავე? ღმერთო, ღმერთო!..

და მხოლოდ ეხლა, მეგობრის წინ გზა მისცა ცრემლებს; თვალებზე ხელები მიეფარებინა და საცოდავადა სლოკინობდა; დაიარავებულ გულით მოსთქვამდა თვის უბედურებას და სულში ახედებდა მას, ცოლის შემდეგ რომ მისთვის ყველაზე მახლობელი იყო.

სევდა, კაეშანი მძიმე, გულისმომწყვლელი ისმოდა ამ ვაებასა, მოთქმასა და ცრემლში ღამის მყუდროებასა და საერთო ძილის ჟამს. ანტონს თავი ჩაეღუნა, სკამზე უნძრევლად იჯდა და თავს ძალას ატანდა, რომ იმ ტანჯვისაგან, რომელსაც მეგობრის ქვითინი აყენებდა, არ დაეყვირნა:—მე ვარ, მე ყველაფრის დამნაშავე! მე ვარ, ბედნიერება რომ მოგტაცე! მე მოვკალი, მე ის, შენი ცოლი!

თვითეული კვნესა კურონსკისა, თვითეული წამოქვითქვითება ჰხვდებოდა მას, როგორც კვანძიანი შოლტი, ვით რკინის ხელით ურევდა, უქუთიალებდა შიგნეულობას, აუვარდებოდა თავში, მოთეთქვილს, მოლეწილს მიათრევდა, გულის საზარელი ამოსკვნილით... ჰგრძნობდა, რომ ის იყო დამნაშავე, ის იმ ცრემლების, სიკვდილის, უბედურების; ჰგრძნობდა, რომ უფლება არ ჰქონდა ერთს წამს მაინც მოეცილებინა თავიდან იმ დანაშაულობის სიმძიმე, განთავისუფლებულიყო.

— და ისე სწრაფად, მოულოდნელად მოხდა ყველაფერი,—განაგრძობდა კურონსკი,—რომ ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ. ორშაბათს სრულიად ჯანსაღად იყო. ღმერთო! რად მახსოვს ყველაფერი ასე კარგად! იმ დღეს შენზედაც კი გვქონდა ლაპარაკი, მერე ზოსიკოსთან ერთად ტყეში წავიდა სასეირნოდ. დაბრუნების შემდეგ ახველებდა ნელ-ნელ. ალბად გაცივებულიყო, ჩვეულებრივზე ადრე წავიდა დასაძინებლად. ღამე ხველამ უმატა უფრო, სტანჯავდა. ვურჩიე წამალი დალიე მეთქი; თვითონ მინდოდა მომეტანა, მაგრამ არ დამაცალა, წამოხტა და იმ კარადასთან მიირბინა, რომელშიც საშინაო პატარა აფთიაქი იყო მოთავსებული. იქ, თაროს სულ ნაპირას სასაქმებელი იდგა. იმ ცოტა ხანში იყო მოტანილი. იმან ეს იცოდა, ჯერ ისევ კვირას ის სასაქმებელი მოახლეს მისცა. მე თვითონ ვუყურებდი, სასაქმებელი როგორ დაასხა ჭიქაში, როგორ დალია... ოჰ, რომ მცოდნოდა, რომ მცოდნოდა!.. ეხლაც მოუშორებლივ მიდგია თვალწინ ის წუთი, ვხედავ, როგორი არა—ადამიანური კივილით უვარდება ხელიდან ჭიქა და თვითონ უკანა ვარდება... მივვარდი, ავიყვანე, საწოლზე დავაწვინე. საშინლადა ფართხალებდა, იკლაკნებოდა, იტანჯებოდა... მთელი სახლი მოსკდა, მოცვივდნენ, მაგრამ ვერავინ ვერაფერი უშველა... გარდაიცვალა, ვიდრე ექიმი მოვიდოდა. რაოდენი უბედურება გამოვიარე, რაოდენი ვიტანჯე ვერ აგიწერ!.. შენს წინ საყვარელი ადამიანი გველივით იკლაკნებოდეს, გესმოდეს იმისი კვნესა, ვაი, გრძნობდე იმის ტანჯვას, უცქეროდე და კი ვერა ჰშველოდე, ჰკვდებოდეს და შენ უმწეოდ იდგე. საშინელებაა, საშინელება! როგორც ცოფიანი ძაღლი, ვიგრიხებოდი უმწეოდ, გონება დაკარგული, სასოწარკვეთილი, ვწყევლიდი ღმერთს, ვგმობდი, ის კი მაინც გარდაიცვალა, გარდაიცვალა!.. არას დროს დამავიწყდება ის წუთები, ვერ დავივიწყებ, ვერასგზით ვერასდროს, ვერასდროს!

კურონსკის ხმა—უწყდებოდა, ჩურჩულით უამბობდა, თითქოს ეშინოდა მაღალი ხმით ახალი მოგონებანი არ წამოეშალა. მის უთავ-ბოლო ნაამბობში ერთგვარი სიმშვიდეც კი სჩანდა, სიმშვიდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა





† ექ. ალექს. ჩხიკვაძე
(19 იანვარს).

რომელშიაც გამოკრთოდა, ჰგრძნობდით სასიკვდილოდ დაკოდილს სულს და სიმძაფრეს უნაყოფო, უძლური სასოწარკვეთისას.

ანტონი ყურს უგდებდა და გრძნობდა, კურონსკის სიტყვები ლახვარსავით როგორ ესობოდა მას შიგ გულში ერთი-მეორეზე და ამ ჭრილობით როგორ ესპობოდა სიცოცხლე. თვითონ ის განიცდიდა მეგობრის ნაამბობს. ჰხედავდა მას, ელენეს, ჰხედავდა როგორ იდგა ის და სვამდა საწამლავს, ყურებში უწიოდა იმისი კივილი, უნებლიედ წამოხტებოდა ხოლმე, რომ ხელი წაეტანებინა, დაეჭირა და, რა გონს მოვიდოდა ჯდებოდა ისევ. კურონსკის სასოწარკვეთა გულს უდაღავდა, თხემით ტერფამდე ზარსა სცემდა და რაღაცა სიბნელეში, უკუნეთში აგდებდა, მოჩვენებებით რომ იყო სავსე. ანტონი მალ-მალ წამოხტებოდა, დარბოდა წინ და უკან ოთახში, ჯდებოდა ისევ,—აღარ შეეძლო არც ყურისგდება, არც ცქერა. რამდენიმეჯერ შეჩერდა კიდეც, უნდოდა გამოსტეხოდა მეგობარს, ეთქვა ყველაფერი, რადგან გრძნობდა, რომ საჭირო იყო იმისი სული რაიმეს ახალს, მძლავრს, თავზარ დამცემს ძალუმად დასტაკებოდა, რომ ის ამ მდგომარეობიდან გამოეყვანა; მერე რაც უნდა მომხდარიყო, მოეხსნა ზურგიდან ის მძიმე ტვირთი მაგრამ ყოველს დროს თავს იკავებდა, დროზე უჭერდა ენაზე კბილს; სძაგდა, ეზიზღებოდა თავისი თავი ასეთი სისუსტისათვის.—საძაგლობაა, საძაგლობა, საძაგლობა!—უყვიროდა გულში თავის თავს; გული უღონკავდა, გული მზად იყო გამსკდარიყო, მაგრამ ანტონი ითმენდა, ჩუმად იყო.

—... ხველის წამლის მაგივრად აზოტის სიმჟავე დაელია. სწორედ ისეთსავე შუშაში იყო. ვინ დასდგა ის იქ, ვერ გამოვარკვიეთ.

ანტონს სევდის ქარისავით მოაწვა გულზე. თავს ველარ იკავებდა, აკანკალდა, აცახცახდა, ტირილი მორთო, ვაება ხმა-მაღალი ერთი-მეორეზე ალმოხდა გულიდან. ამან ცოტა გულზე მოუშვა, დაამშვიდა კიდეც. სულიერ ღელვის, აფორიაქების შემდეგ მოღლილობამ, მოქანცულობამ სძლია, ძილი შორიდან ეპარებოდა. კურონსკიმ ნაზად მოხვია ხელი მას და ჰკოცნიდა.

— ახ, ჩემო კარგო, კეთილო!..

— ნუ მკოცნი, ნუ, ნუ მკოცნი! ო, რომ იცოდე, რომ იცოდე! ეუბნებოდა ანტონი და უფრო ძლიერა სტიროდა.

და გონება აბნეული, იქმნება ეამბნა კიდეც ყველაფერი, რომ მეორე ოთახში ხმა-მაღლა ბავშვს ტირილი არ დაეწყო. კურონსკი წამოხტა და გაიქცა იმასთან, ანტონს კი ისე მოეჩვენა, თითქოს ეს ხმა იქ, საიქიოდან აბრთხილებდა მას. ტირილი მისწყდა. კურონსკი შემობრუნდა და მაშინვე წავიდა ორივე დასაძინებლად იმ ოთახში, საბავშვო ოთახის გვერდით რომ იყო.

ანტონს სწრაფად ჩაეძინა. მაგრამ ერთი თუ ორი საათის შემდეგ ვიღასიც ჩუმმა, საბრალო ქვითინმა გამოაღვიძა. წამოჯდა და ყური მიუგდო: ეს ზოსიკო სტიროდა. ზეზე წამოდგა, მივიდა უკვე კარებთან, რომ შეეხედნა ოთახში, მაგრამ ძიძას ჩუმი ბურტყუნი შემოესმა და ბავშვის სლოკინი, ზედი-ზედ რომ იმეორებდა: „დედიკო! დედა! დედიკო!..“ ანტონმა ყური მიუგდო ამ პაწია ხმას; საყვედურიც ისმოდა, დარდიც, ეძინებოდა კიდეც, რაღაცა გამოუცნობი სითბო, სიამე შეეპარა გულში ანტონს, სტკბებოდა, სტკბებოდა იმ ხმის საოცარ სიამით, სიტკბოებითა.

ბავშს ჩაეძინა, ყველაფერი კვლავ მისწყდა, ის კი კარებთან იდგა ისევ. უნდოდა ერთხელ კიდევ მოეკრა ყური იმ ჭიკჭიკისთვის, გაეგონა ხმა ნეტარი, გამოუცნობ ნეტარებით რომ აღავსო იგი, მაგრამ დუმილში ისმოდა მხოლოდ თანაბრივი ხვრინვა კურონსკისა, ფანჯრის დარაბებში სცემდა წვიმა, ხმაურობდა და სადღაც, სამოსახლო შენობების გვერდით გაჰკიოდნენ მამლები. ატონი საწოლზე წამოჯდა, ძილი გაუფრთხა სრულიად; ყურს უგდებდა თავის თავს. ის ტირილი ისევ ყურებში უდგა, აღვიძებდა მას. მამის გრძნობაც კი გამოაღვიძა მასში.

„ჩემია, ჩემი!“—ჰფიქრობდა ანტონი და უეცარი სიყვარულის ფარული ღიმი გადაეკრა სახეზე. აღეძრა სურვილი მოეალერსებინა იმ პატარა ბავშვისათვის, ჩაეხუტნა, ჩაჰკონებოდა, ეკოცნა იგი, ეკოცნა, სინაზის და სიყვარულის საბურველში შეეხვია. სწყუროდა ჰყვარებოდა, ყოფილიყო თვითონაც შეყვარებული. რაც გადახდა თავზე, გამოსცა, გამოიარა, დაიტანჯა, ყველაფერი თითქოს მოსწყდა, მოჰშორდა და ჩაგორდა დავიწყების უფსკრულში,—ისე გაუბრწყინა გული იმ ბავშვმა. ეხლა კი დაინახა, მისწყდა თვის ყომრალ, დღემდე უმიზნო სიცოცხლის მიზანს. ისე მოულოდნელად, უცებ გაიღვიძა მასში მამობრივმა გრძნობამ, ისე მოჰხიბლა, ისეთი მძლავრი სიხარულით აღავსო, რომ არც კი დაფიქრებულა, რომ არავითარი უფლება არა ჰქონდა და გულის გარდუვალ ძალით გატაცებული, შევიდა ოთახში. ღამის ლამპრის სუსტ შუქზე მან მაშინვე პატარა, მძინარე გოგონა დაინახა მუხლზე დაიხარა იმის საწოლთან, პაწია, შებრაწულ სახეზე სუსტი შუქი მიანათა და ჩააცქერდა, თვალითა სჭამდა. გოგონას მოუსვენრად ეძინა, სლოკინობდა ძილში, ანტონი კი აღარა ჰფიქრობდა მოშორებას. მუხლზე იდგა, თითქოს მიუჯაჭვიათო. ბავშვს ისევ გამოეღვიძა და რაკი უცხო სახე დაინახა, ტირილი მორთო. ანტონჰა დაუყვავა, მოუალერსა, დაამშვიდა; გოგონა გაჩუმდა, გამოფხიზლდა და ცოცხლად მისცქეცებოდა მას თავისი პაწია შავი თვალებით. მერე პაწია ხელები გაუწოდა და საყვარლად წაიჩურჩულა ღიმილით:

— ლალა!

ანტონი ვერა გრძნობდა, რა მოსდიოდა. აღფრთოვანებული ჰკოცნიდა პაწია ხელებზე, დამთვრალიყო, გადარეულიყო ბედნიერებით, ნეტარებითა. ბავშვმა თვალები მოიფშვნიტა და ისევ ტირილი მორთო. ანტონმა ის პაწია საწოლიდან ამოიყვანა ფრთხილად, შეახვია საბანში და დასვა.

— ლალა! ზოსიკოს თამასი უნდა! ლალა! ღუღუტულებდა ბავშვი და ულვაშებზე ავლებდა ხელებს ანტონს.

— არა, სთქვი მამათქო, მამილოთქო!—ეუბნებოდა; უმუდარებოდა ანტონი. მაგრამ ზოსიკო თავს აქნევდა და გაიძახოდა:

— ლალა, ლალა! მამა ალა!

— არა, მამა, მამილო!—სთხოვდა ანტონი და ჰკოცნიდა,—ლალა მამა არის, მამა!—და მიესაყვარლა, ათასი საალერსო, ნაზი სახელი უწოდა.

სწორედ სამოთხეში ჰნეტარებდა იგი, ბედნიერებით დამთვრალიყო და ისე გაერთო ბავშვს, რომ ვერ გაიგო, როგორ შემოპარულიყო ოთახში კურონსკი, რომელსაც მის შემოსვლის შემდეგ, მალე, ბავშვის ტირილზე და ჩურჩულზე გამოჰღვიძებოდა და შემოსულიყო, რომ ენახა რა ამბავი იყო.

ეს სურათი რომ დაინახა კურონსკიმ, გაეღიმა, მაგრამ გულზე უცებ რაღამაც უკბინა.

— სთქვი, სთქვი, მამა, მამილოთქო! ეჩურჩულებოდა ბავშვს ანტონი.

კურონსკი კარებში გაჩერებულიყო და მიცქეროდა. იჭვი, ვით ელვა, უცებ აუპრიალდა გონებაში, იჭვიანობამ თვის მწვავე ძაფები უფრო და უფრო მოსწია, ერთად ცეცხლი დაუნთო გულში. ათასი მცირედი რამ, ჩალესილი, ჩაბნეული გონებაში, რომელთათვის თავის დღეში დიდი ყურადღება არ მიუქცევია, არამედ ისე, ჩაწერილა მხოლოდ უნებლიედ გულისყურის წიგნში, ათასი ნამცეცი რამ—ხან ვისიმე ღიმილი, ხან სიტყვა, შეხედვა ან კიდევ სხვა—რამ, რასაც ანგარიშს არ უწევდა მაშინ,—უცებ, ელვასავით, გიჟურის სისწრაფით ერთდებოდა ერთად, ერთს სურათს ადგენდა და თვალწინ ეშლებოდა საზარელი სინამდვილე. კურონსკი გარინდებულიყო, უნძრევლად იდგა, ზარისაგან გაქვავებული. საშინელმა აღმოჩენამ დაანგრია, დაფუტკნა მასში ყველაფერი. ტანჯვის, სიძულვილის, ზარის გრიალი აბობოქრობდა მასში, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, გამოსავალი ვერ ეპოვნა.

— სთქვი, გენაცვალე, ზოსიკო, სთქვი მამათქო, მამილოთქო! სთქვი, ჩემო ოქროს ქოჩრიანო, სთქვი, ჩემო ანგელოზო!—ემუდარებოდა ანტონი.

კურონსკის ესმოდა, რომ მასში, თუ მის ახლოს სადღაც რაღაცა უცნაური, საკვირველი სისინი ისმოდა. გაშრა, გაქვავდა მკვდარივით ერთს ადგილას, აღარაფერსა გრძნობდა, აღარაფერსა ჰფიქრობდა, ისეთი ზარი დასცა იმან, რაცა ჰნახა და გაიგონა, ელდა ისეთი ძალუმი იყო, რომ მკვდარივით გაშეშებულიყო; ჰა, ან ახლა დაეცემოდა და მოკვდებოდა, ან გონებაზე შეირყეოდა. რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა წინ, უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ ამოატარა ტანჯვისაგან მოქოთქოთე ყელში და მხოლოდ რაღაცა გაუგებარი წაიბურტყუნა ყრუდ.

ანტონმა ეს გაიგონა, აილო თავი მაღლა და მკვდრის ფერი დაედო. თვალი თვალს მოახვედრეს, თვალი თვალს გაუყარეს და განჭვრეთეს ერთმანეთი.

— მამილო! მამილო!—სიხარულით წამოიყვირა ზოსიკომ, მამა რომ დაინახა.

ანტონი ბავშვით ხელში ადგა. პირუტყვულმა შიშმა მოიცვა. კურონსკი საზარელი სანახავი იყო. მის გაქვავებულს, მკვდრის სახეს თვალს ვერ გაუშტერებდით, გეგონებოდათ ჰა, მოსწყდება სხეულს და დამეხლება სიმძულვარით ანთებულიო, ისე სწვავდა ადამიანს მისი თვალები, ისეთი უსაზღვრო ზიზღი და სასოწარკვეთა ანთებულიყო მათში. ერთ ადგილას იდგა კურონსკი, წელში მოხრილი, თითქოს გადასახტომად ემზადებაო, ისე გამძაფრულიყო, განმზადებულიყო, ეცქვიტა ყური, რომ თხელ საცვალში ძარღვებიც კი გამოსჩანდა; შეკუმშული ხელის თითები თრთოდნენ, მზად იყვნენ ყელში წასწვდომოდნენ და მოეგუდათ. კბილი კბილს აცემინებდა, ძალუმ, მოჭარბებულ ვნებას მისთვის ძალა მოეჭრა. ბავშვმა ისევ ტირილი მორთო.

კურონსკი თითქოს გონს მოვიდა და წაიხიხინა:

— მაშ შენია?

— ჩემია, ჩემი!—უპასუხა ანტონმა და ბავშვი უფრო მიიკრა გულზე.

მან ვერაფერი მოახერხა სხვა. ბავშვის სითბო მას ძვალრბილში უვლიდა და ველურ, უძლეველ სიმამაცეს უნერგავდა. ანტონს უნდოდა, უნდოდა ეცოცხლა ეხლა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ეს; ჰგრძნობდა ეხლა, რომ გამხდარ ქონდრის კაცს ხელი მიელო მასზე ან და განეზრახა ბავშვის წართმევა, გასრესდა მას და მის გვამზე გადაახტებოდა. ჰგრძნობდა უშრეტს ძალას საბრძოლველად. თუნდ მთელს ქვეყნიერობასთან ამ პაწია ჩიტუნიას გამო, რომელიც მას თვალებში ჩამოჰფაროდა და ყველაფერი მასგან მიელულა.

— შორს, შორს, ავაზაკო, კაცის მკვლელო, შორს! ყრუდ წარმოსთქვა კურონსკიმ და კარებისკენ ისე უჩვენა ხელი, რომ ანტონს ოფლი დაასხა; კრინტი აღარ დაუძრავს, გავიდა მეორე ოთახში, ჩაიცვა ტანისამოსი, შემდეგ აიყვანა ბავშვი, გაახვია საბანში და თავის პალტოში და გამოვიდა გარედ. კურონსკი კი, მკვდარი, გამშრალი, ვით ამუშავებული თვითმოქმედი მანქანა, უკან გამოედევნა და მხოლოდ ხმა მისი კივილად იქცეოდა ჰგუგუნებდა, ვით ქუხილი, ყრუდ, ძალუმად:

— შორს, შორს ავაზაკო, კაცის მკვლელო, შორს!..

კურონსკი აღარაფერსა ჰგრძნობდა, აღარაფერი ახსოვდა. სევდას, დარდს მისთვის გონება დაებნია. ანტონს ფეხ და ფეხ მისდევდა. გაიარეს „პარკი“ და გარდიგარდმო ბილიკი, რომელზეც ეხლახანს დაბრუნდა ანტონი ვლადისლავთან ერთად. უკუნეთს შეერივნენ. ანტონი უკვე გარბოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რომ მალე გასცლოდა ამ მოჩვენებას, აღარ გაეგონა იმისი ხმა, უფრო და უფრო ძალუმად რომ აგლეჯდა ძარღვებს, რაღაცა საზარლად სცემდა თავში, უწიოდა ყურში რაღაცა საზარელი ჩლუნგი ხმით, მთლად ღრღნიდა, ჰკვეთავდა. მაგრამ კურონსკივით მოჩვენება, თეთრებში გახვეული, წინ ხელ-გაშვერილი მისდევდა კვალ და კვალ და გუგუნებდა:

— შორს, შორს, ავაზაკო, კაცის მკვლელო, შორს!..

ღამე ჩაყლაპა ისინი,—ყომრალ-ლილის-ფერმა ღობემ, როცა ხე, ქვა, ადამიანი თითქოს დნებოდა, იხრწნებოდა უსახო მოჩვენებად; ღამემ, რომლის წიაღში ადამიანს ჰგონია, რომ მისი საკუთარი სული დნება და სიბნელეს ერთვის, ვით ღამის ჰაერში მტვრად ქცეული ემბრიონი (ჩანასახი). ანტონმა ბილიკიდან გადაუხვია და პირდაპირ გაექანა, რომ ტყემდე მალე მისულიყო. უკვე აღარ იცოდა სად, საითკენ გარბოდა, ჰსურდა მხოლოდ იმ ყრუ ხმას გასცლოდა, მაგრამ კურონსკი ერთი ნაბიჯითაც არა რჩებოდა უკან და თითქოს უხილავი ჯაჭვით არის მასზე მიბმულიო, მისდევდა და უყვიროდა.

ტყის გულში ჩაიკარგნენ, მაგრამ იქიდანაც მოისმოდა, ცასა სწვდებოდა, მიდამოს ედებოდა ის ყვირილი, მძლავრი, ვით ქარტეხილი, თანაბარი, საზარელი.

— შორს, შორს,. ავზაკო, კაცის მკვლელო, შორს...

**ხანგანიძე.**



— აი, ჩვენი კანდიდატი!

... ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.